

0 9 9 9 6 0 6 8 6 9 0 0 9



ეტიენეს ლეიბრი





თამაზ სინარელიც

1979

ეგიპტი ღვინოზე



გამოცემლობა „საგარეო საკართველო“

თბილისი — 1979

6-п 85 (C41)
663.2(47.922)(089.2)
Б-561



ავტორი ერთგვადების სახით საინტერესოდ მოგვითხოვს
საქართველოს კოლექციის ღვინოებზე, მეღვინეობაში კოლე-
ქციონერთა საქმიანობაზე, როგორ აისახა მეღვინეობის თემა
ფილატელიაში, ღვინოების ჭავჭავიზე, ენოთერაპიის მეტალ
საინტერესო პრობლემებზე. განიხილავს ძველ ღვინოებს და
ა. შ.

ნაშრომი მკითხველთა ფართო წრისათვის არის განკუთ-
ვნილი.

— 50269 — 3


ТАМАЗ ГРИГОРЬЕВИЧ СИХАРУЛИДЗЕ

Этюды о вине

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5

40405—091
С ————— 181—1979
М 601(08)—79



© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ — 1979.

მტიუზიბი... მტიუზიბი...

როგორც ვიცი, ეტიუდი ფრანგული სიტყვაა და სხვა-
დასხვა უანრში თავისებურ მნიშვნელობას იძენს. ეტიუდს
სახეით ხელოვნებაში რაიმე ნაწარმოების წინასწარ მონა-
ხაზს უწოდებენ, რომელიც ნატურალიზაციული შესრულებუ-
ლი. მხატვრულ უანრში იგი ლიტერატურული, ფილოსო-
ფიური, მეცნიერული ნარკვევია. მუსიკალურ დარგში
ვირტუოზული ხსიათის მცირე მუსიკალური პიესაა.
ეტიუდს უწოდებენ ავრეთვე ტექნიკის დასახვეწად და-
წერილ მცირე ზომის მუსიკალურ სავარჯიშო ნაწარმო-
ებს. ჭადრაქში ეტიუდი ხელოვნურად შექმნილი მდვრ-
მარეობაა, რომელშიც თეთრებმა უნდა იპოვონ ერთად-
ერთი სწორი გზა მოსაგებად ან ყაიმის მისაღწევად. ჩვენ
გვინდა ეს უანრი მიეუსადაგოთ მელვინეობის დარგის სა-
ინტერესო საკითხებს. ეს საკითხები თავისი შინაარსით
ამოუწურავია, მეტად მნიშვნელოვანი, ფრიად სასარგე-
ბლო და საინტერესო. ჩვენ არ ვისახვეთ მიზნად, წმინდა
მეცნიერული ხსიათი მიეცეთ ჩვენს ნაშრომს, წარმო-
დგენილ მასალას ნარკვევების სახით ჩამოვაყალიბებთ
და მათ ღვინის შესახებ ეტიუდებს ვუწოდებთ.

მაშ ასე, ეტიუდები ღვინის შესახებ....

ო, დიონისე... ო, დიონისე....

ო, დიონისე... ო, დიონისე...

ო, აგუნა, ანგურა... ო, აგუნა, ანგურა...

„აგუნა, აგუნა, შემეიარე; ბახუას კარებთან გეიარე! ჩეენს ვე-
ნახში ასეთი მტევანი, სხვის მამულში ნაფოტი და ფურცელი“.

ო, დიონისე... ო, დიონისე...

ო, აგუნა, ანგურა... ო, აგუნა, ანგურა...

„ანგურაშ ჩამეიარა ილითა და მილითა, ორშიმო და ხრიყითა
ჩეენი მამული ჩეიარა, წივი მეიტეხა, ღვინის ღვარი ააყენა. ისხა,
ისხა, ისხა... გამოლმა ყურძენი, გაღმა ფურცელი“.

ო, დიონისე... ო, დიონისე...

ო, აგუნა, ანგურა, ო, აგუნა ანგურა...

„ანგურა, ანგურა, ღმერთო, აშორე ჩეენს ვენახს სეტყვა, კოში!
ღმერთო, ღაიცავით ჩემი მამული! ანგურა; ანგურა, არიშტკინა, არიშტ-
კინა!“ ვარძია. ჭაჭარი, გუგათა, ტოლოში, ბაგები, იღუმალა, ოშო-
რა, უდე, ოხერა“...

ო, დიონისე... ო, დიონისე...

ო, აგუნა, ანგურა... ო, აგუნა, ანგურა..

„სახელგანთქმული მეფის შამირამის უფლისწული ბადამშ, გა-
დამრჩენელო ფასკუნჯისა გველისაგან. ფასკუნჯისაგან მადლიერებით
ძლინად მიღებული წიპტებისა, აღმომცენებელი ვაზისა, მომცემი
ყურძნისა და სიტკბოს მომნიჭებელი წყაროსა — სასმელისა. წიპ-
ტებისა — ფუძისა ვაზის ზვრებისა და კეთილდღეობისა. ფასკუნჯისა
მოფრენილსა ირანსა ჩრდილოეთის მხრიდან“.

ო, დიონისე... ო, დიონისე...

ო, აგუნა, ანგურა... ო, აგუნა, ანგურა...

„იესო ქრისტემ გააშენა ვენახი საქართველოს ბარში. ბოლოს სვანეთში მივიდა და სოფელ ხოფურამდე გააშენა თუ არა ვაჟა უშმავი შეხვდა, მოატყუა ქრისტე და უთხრა, რომ ამის შემთხვევაში ნისწყლის სათავემდე უკვე მე გავაშენე ვენახი და შეგიძლია უქაბ დაბრუნდეო. იესო ქრისტემ მადლობა გადაუხადა და დაბრუნდა უკან. სოფლის მცხოვრებლები ახლაც უჩვენებენ იმ ქას, რაზედაც თითქოს ატყვია ქრისტეს ფეხის ნადგამი და მისი ჯორის ნატერფალი. ამ ადგილს ახლაც ხალხი „ქრისტეს ფეხის ნადგამს“ უწოდებს“.

ო, დიონისე... ო, დიონისე...

დიონისე „დაბადება“

დიონისე ძეველ ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთთა უზენაესი ზეგსისა და თებეს სამეფოს პრინცესას სემელეს ვაჟია. სემელე ზევსის სატრფო, ფრიგიული მიწის ღმერთქალად მიჩნეული, ოლიმპოს მთაზე უკვდავთა შორის თიონად წოდებული დიონისეს დაბადებას ემსხვერპლა. ზეგსის მეულლემ, გაჯავრებულმა ჰერამ, სემელეს ურჩია მშობიარობის წინ ეთხოვა ზეგსისათვის, რომ იგი მთელი თავისი დიდებულებით ჩვენებოდა. ზეგსი არ დათანხმდა. მაგრამ რაღაც სემელე აღარ მოეშვა, თხოვნა აუსრულა. იგი თავისი ნამდვილა სახით — ჰექა-ჸუსილად მოევლინა მას და სემელე უერთლად აქცა. ზეგსმა მოასწრო სემელეს მუცლიდან ჩვილი დიონისეს გამოყენა, და ჩაისვა თავის ფერდში, სადაც დიონისე მომაგრდა და თავის ღროშე დაიბადა: მითის სხვა ვარიანტით სემელეს დაფერუელისას დიონისე უკვე დაიბადა. იგი სიკედილს გადაარჩინა მის ორგვლივ სასწრაფოდ აღმართულმა სუროს მწვანე კედელმა. ამ კედლის იქით გიზგიშებდა ღვთიური ცეცხლი, რომელმაც დიონისე უკვდავკუ. ზეგსის ბრძანებით ბუნების ყოვლისშემძლე ძალამ ჰერმესმა ჰატარა დიონისე ზეგსის ასულებს — ფერიებს გადასცა აღსაზრდელად; სხვა ვარიანტით კი დიონისეს ზრდიდა სემელეს და ინო, რომელიც ამისათვის ჰერამ მკაცრად დასაჭა და დიონისეს აღზრდა დაევალა ეგზოტიკურ სილენოსს.

სილენოსი დემონია. მუდამ მთვრალი, მხიარული, კეთილი ხასიათის მოხუცი დიონისეს აღმზრდელი და ზედამხედველია. სილენოსი მუსიკისა და სიმღერის მოტრფიალეა. იგი სატორებს ხელით, ხან ვირით დაპყავთ. იგი წინასწარმეტყველია, მისი ატრიბუტები — რუმბი, თასი, სუროს გვირგვინი, ტირსი და ვირია. დიონისე უცნურ ფერიებთან იზრდებოდა ხან ეგვიპტეში, ხანაც ინდოეთში...



დიონისე ყველგან ეგზოტიკურია

კუნძულ იყაროსიდან ნაქსონზე მიმავალი დიონისე ტირენიულ შეკობრეთა გეჩზე მოხვდა. მეკობრეებმა იგი ანძაზე მიაბეს რა შემომარტივებელი ნად გაყიდვა დაუპირეს. დიონისეს ბორკილები ცვიოდა. ანძაზე გამოიწვია შემოვლო სურო, იალქნებს კი ყურძნის მტევნები ჩამოეკიდა. შე-შინებული მეკობრენი ზღვაში გადაეშვნენ და დელფინებად გადა-იქცნენ. გზად დიონისეს შეხვდა თეზევსისაგან მიტოვებული მშვე-ნიერი არიადნე, რომელიც ცოლად შეირთო.

არიადნე, ძელი კურეტული ღვთაება, მინოსისა და პასიფას ქა-ლიშვილია. იგი დაეხმარა ატიკელ გმირ თეზევს მინატოვრთან ბრძოლაში. ქალს შეუყვარდა ლამაზი ვაჟაცი და განიზრახა მისი დახმარება. თეზევსის ლაბირინთში შესვლამდე არიადნემ ძაფის ერთი ბოლო ლაბირინთის შესასვლელში მიამაგრა, მეორე კი თე-ზევსს მიაბა წელზე და მინატოვრზე გამარჯვებული თეზევსი თავი-სუფლად გამოვიდა ლაბირინთიდან. თეზევსმა ცოლად შეირთო არიადნე, მაგრამ კუნძულ ნაქსონზე მიატოვა მძინარე. კუნძულ ნაქსონზე არსებობდა არიადნეს კულტი.

დიონისეს სატრფოა ამპელოსი. დიონისემ ამპელოსს აჩუქა ყურძნის აყიდო, რომელიც ჩამოუყიდა მაღალ თელაზე. ამპელოსს აყიდოს ჩამოლებისას ფეხი დაუცურდა, ჩამოვარდა და მოკვდა. შე-წუხებულმა დიონისემ იგი თანავარსკვლავედად ძეცია.

არიადნე დიონისეს ცხოვრების ქურუმია. ამპელოსი დიონისეს სატრფოა. დიონისეს გარს ახვევიან მშვენიერი ფერიები. ეგზოტი-კური სილენოსი მისი აღმზრდელია; მუზები — სიმღერის, პოეზი-ის, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი ღმერთქალები მისი ძიძები და თანამგზავრები არიან.

დიონისეს კულტი

დიონისე მოგზაურობისას ყველგან ავრცელებდა თავის კულტი, ახდენდა სასწაულებს და ყველას ყურძნის მოყვანასა და მეღვინეო-ბას ასწავლიდა. იგი ადამიანებს თხის, ლომის, ხარის, ჯიქისა და სხვა ცხოველთა სახით ეჩვენებოდა. მიწიდან ადენდა ლვინის, თაფ-ლისა და რძის შადრევნებს. დიონისემ იმოგზაურა ელადაში, სირი-აში, აზიაში, ინდოეთსა და საბერძნეთში.

ათიკაში წელიწადში ოთხევრ იმართებოდა დიონისესადმი ში-ძლვნილი ზეიმი — დიონისობა.

მცირე დიონისობა შემოღვმაზე, ყურძნის კრეფის დამთავრე-

ბასა და მაჭრის დაყენებასთან იყო დაკავშირებული; მეორე ფონ-ნისობა — ლენერი — იმართებოდა იანვარ-თებერვალში; მესამე დო-ონისობას ანთესტერიებს უწოდებოდნენ, ხოლო მეორე დო-ონისობა იმართებოდა ე. წ. ელაფებინიშის ტკუმა მარტ-აპრილში.

მცირე დიონისობის პერიოდში ტაძრებში შეიწირებოდა ცხო-ველები (უპირატესად თხა); სვამდნენ ღვინოს, ეწყობოდოდა მხიარუ-ლი გართობა-თამაშობანი, ქეიფობა.

მეორე დიონისობა ფაქტიურად მცირე დიონისობის გაგრძე-ლება იყო. ამ დღესასწაულზე სხვადასხვა თამაშობათა გვერდით ჩაისახა თეატრალური წარმოდგენები — 442 წელს ჩვენს წელთალ-რაცხვამდე კომედიური უანრი, ხოლო შემდგომ ტრაგედიებიც (433 წ.).

ანთესტერიების დღესასწაულები იმართებოდა გაზაფხულის და-საწყისში, 11—13 ანთესტერიონს, როდესაც ბუნება იღვიძებდა და შემოდგომაზე დაწურული ღვინო დასალევად ვარგისი იყო.

პირველი დღე კასრის გახსნის დღეა. ამ დღეს ჭაშნის უსინ-ჭავლნენ ახალ ღვინოს და ყველა ოჯახში ამ ახალი ღვინით ლოცავ-და ღმერთს. საღლესასწაულოდ ღარიბი თუ მდიდარი ყველა მხია-რულობდა. მონები ისვენებდნენ. ბავშვებს ასაჩუქრებდნენ ძღვნით. მასწავლებლებს ხელფასი ეღლეოდათ. ყველა თავის თავს ემსახუ-რებოდა და საერთო განცხრომა სუფევდა. მეორე დღე „კათხების“ დღედ წილდებოდა. დღესასწაულში ბავშვებიც მონაწილეობდნენ. ყველა კათხიფან სვამდა ღვინოს. დიონისეს ჭანდაკებას დაატარებდ-ნენ ჭალაქებში. იმართებოდა ღმერთის მისტიკური ქორწინება და ა. შ., ბოლო დღეს, რიცხვით 13-ს, დღესასწაულის რელიგიური ფორმა უმაღლეს წერტილს აღწევდა. ამ დღეს „ქოთნების“ დღეს უწოდებდნენ და უწმინდურად ითვლებოდა.

დიდი საქალაქო დიონისობა დიდ ზემოს, დღესასწაულს წარ-მოადგენდა და მთელი კვირის მანძილზე გრძელდებოდა. მთელი ხალხი მასში ერთსულოვნად მონაწილეობდა. იმართებოდა სპექტა-ლები. მხიარული გართობა-თამაშობანი, სიმღერები სრულდებოდა გუნდებად. დღესასწაული სახალხო იყო. იწვევდნენ სტუმრებს სხვა-გუნდებად. დღესასწაული სახალხო იყო. იწვევდნენ სტუმრებს სხვა-დასხვა ქვეყნიდან. კუელგან სუფევდა საზემო განწყობილება. არა-დასხვა ქვეყნიდან. კუელგან სუფევდა საზემო განწყობილება. არა-გას აპატიმრებდნენ, პატიმრებს ათავისუფლებდნენ, ვალს არავის ახლევინებდნენ. წარმოდგენის სახეს ატარებდა დიონისეს დიდი ხის

ქანდაკების გადასვენების ცერემონიალი. სპექტაკლები რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. დიონისობა უდიდეს ანტიკურ დღესსწაული და იყო მიჩნეული.

დიონისე, მცენარეულობის, მევენახეობისა და მედუნაულობის მფარველი ღვთაება, ერთ-ერთი პოპულარული ღმერთი იყო ბერძნულ მითოლოგიაში.

...დიონისემ ათენელ მოქალაქე იყარიოსს ღვინით სავსე რუმბი აჩუქა. იყარიოსმა ათენელებს ღვინის მოყვანა და დამზადება ასწავლა. მაგრამ მოხდა უცნაური ამბავი, როდესაც ათენელმა მწყემსებმა ღვინო დალიეს, დათვრნენ, თანამოქალაქეებს ეგონათ, მოიწამლნენ და დაიხუნენ. იყარიოსი დიჭირებს და მოკლეს. ამ ამბოთ განრისხებული დიონისე ხალხს მუსრს ავლებდა, ვიდრე იყარიოსი დიდი პატრიოთ არ შემოსეს. შემდგომში იყარიოსისადმი მიძღვნილი დღესასწაულებიც კი იმართებოდა ათიკაში. სწორედ დიონისობის დღესასწაულების მოწყობა იყარიოსს მიეწერება.

ძველ რომში დიონისეს პროტოტიპია ვაკხა-ბახუსი, რომელიც ერწყმის ადგალობრივი ღვთაების ლიბერის კულტს. ლიბერის ლათინური და დიონისეს ზედმეტი სახელის ლისიონის ბერძნული განმორტება განმათავისუფლებელს, ნების მომცემს ნიშნავს. ეს კი ყოველფეის დამახასიათებელი იყო მთვრალი ადამიანის თვაშვებულობასთან.

ბახუსის მონა ლოთია.

ნაბახუსარი — ნამთვრალები.

ბახუსის ველი საქეიფო შაგიდას ეწოდება.

დიონისეს პროტოტიპებია ასტრალური ღვთაებები სირიუსი და ვერძი; ეგვიპტურში — ოზირისი; ინდურში — სიगა; ებრაულში — ნოე; ჩინურში — პოპ-ჰი და ა. შ.

ო, დიონისე... ო, დიონისე...

შენ შექმენი უდიდესი კულტი ღვთაებისა!

შენ შთაბერე შთაგონების ელექსირი მრავალ ხელოვანს და გახდი შისი ზემოქმედებითი ნიჭის კერპი.

ასეთი სახით ერცელდებოდა მეღვინეობის კულტი მითებსა, ლეგენდებსა და თქმულებებში.

Математика как искусство... математике... математике...

«В науке необходимо воображение. Она не исчерпывается целиком ни математикой, ни логикой, в ней есть что-то от красоты и поэзии».

Мария Митчелл.

Компьютерные технологии, а не телевизоры, улучшают образование, создавая интерес к учёбе. Компьютеры, как и любые другие инструменты, могут быть использованы для обучения, но это не означает, что они сами по себе являются образованием. Для этого требуется не только техническое мастерство, но и творческий подход, способность мыслить и решать задачи. Компьютерные технологии могут помочь в этом, но они не могут заменить человеческую интуицию и воображение.

Будущее образования — это не просто набор знаний, это способность к самостоятельному мышлению, критичному анализу и решению проблем. Компьютерные технологии могут помочь в этом, но они не могут заменить человеческую интуицию и воображение. Для этого требуется не только техническое мастерство, но и творческий подход, способность мыслить и решать задачи. Компьютерные технологии могут помочь в этом, но они не могут заменить человеческую интуицию и воображение.

Для того чтобы компьютерные технологии действительно помогали в обучении, необходимо создавать соответствующие программы и методики, которые будут способствовать развитию креативности и творческого мышления у учащихся.

ბელი. ბორგეზეს სახელგანთქმული გალერეა (რომი), მეტროპოლიტენის მუზეუმი (ნიუ-იორკი), ბრიტანეთის მუზეუმი (ლონდონი) ვენეციის აკადემიის გალერეა (ვენეცია), ბენაკის მუზეუმი ქართველების ლუვრი (პარიზი), კატალონიის ნატიფ ხელოვნებათა მუზეუმის მუზეუმი სელინა), იმპრესიონისტების მუზეუმი (პარიზი), პაილელბერგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (პაიდელბერგი), გუგუნის მუზეუმი (ვეკინი), ეპარქიული მუზეუმი (კორტონა), დრეზდენის სურათების გალერეა (დრეზდენი), სურათების გალერეა (ბერლინ-დალემი). ეთნოგრაფიული მუზეუმი (ლივენი, ლაიფციგი), ცენტრალური აფრიკის სამეფო მუზეუმი (ბრიუსელი), გ. დებენტის კოლექცია (ბრიუსელი), ისლამის ხელოვნების მუზეუმი (ბერლინ დალემი), სან-მარკოს ძვირფასეულობათა კოლექცია (ვენეცია), ცნობილი ჰამერის კოლექცია (აშშ), ერაყის მუზეუმი (ბალდადი), ფრი-ის გალერეა (ნიგერია), თანამედროვე ხელოვნების ნაციონალური მუზეუმი (პარიზი), მუნიციპალიტეტის მუზეუმი (ოსაკა), სიქსას კოლექცია (ამსტერდამი), შოტლანდიის ნაციონალური გალერეა (ედინბურგი), უოლტერ-სის სამხატვრო გალერეა (ბალტიმორი), გიმეს მუზეუმი (პარიზი), სენდენის მუზეუმი (რეიმსი) დაბბამტონ-ოქსის ბოტანიკური კოლექცია (ვაშინგტონი), რუსული მუზეუმი (ლენინგრადი), ერმიტაჟი (ლენინგრადი). ისტორიული მუზეუმი (მოსკოვი), ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმი (კუნძული). სახვითი ხელოვნების მუზეუმი (მოსკოვი), უძველესი ხელოვნების ნაციონალური მუზეუმი (ლისაბონი), ანდრეა დელ კასტანიოს მუზეუმი (ფლორენცია) აშმოლას მუზეუმი (ოქსფორდი), დედოფალ მატილდას მუზეუმი (ბაიო), ტოროლონიის მუზეუმი (რომი), ნატიფ ხელოვნებათა მუზეუმი (ბოსტონი, ტურნე), ამერიკა-ინგლისის სამხატვრო ცენტრი (ნიუ-იორკი), ნაციონალური მუზეუმი (ირაკლიონი), კერამიკის მუზეუმი (ათენი), ხელოვნებისა და ისტორიის სამეცნ მუზეუმი (ბრიუსელი), მარტინ ვაზერის მუზეუმი (ვაიცბურგი), ანტიკური წმინდა ხელოვნების მუზეუმი (მიუნხენი), ტეიტის გალერეა (ლონდონი). პესის კოლექცია (პარიზი), უფაცის გალერეა (ფლორენცია), ფრიკის კოლექცია (ნიუ-იორკი), პორტრეტის ნაციონალური გალერეა (ლონდონი), ბაროკოს მუზეუმი (ვენა), რომის ნაციონალური მუზეუმი (რომი), აპოლონის მუზეუმი, დელი პინაკოტეკა (მიუნხენი), გეორგიონ ამანის მუზეუმი (ბუქარესტი), ეგვიპტის მუზეუმი (კაირო), ფონტენბლოს მუზეუმი (ბუქარესტი), ეგვიპტის მუზეუმი (კაირო), ვატიკანის მუზეუმი (რომი), ნაციონალური ბიბლიოთეკა (პარიზი), ვატიკანის მუზეუმი (რომი).



მი), ვილი ჭულიას შუზეუმი (რომი) და მრავალი სხვა მსოფლიო
შუზეუმები მარგალიტებს წარმოადგენენ პლანეტის კუთხეული
ფილოსოფიური, ისტორიული თუ სხვა ცივილიზაციების უძინვეს
რიტმში.

გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი, ბერძნული მეცნიერების
დამაარსებელი თალესი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 600 წლის წინ აგ-
როვებდა ადრეულ ცნობებს გეომეტრიის დარგში, რის საფუძველ-
ზეც გეომეტრია მიიყვანა დასკვნებისა და პრინციპების საზღვარზე
და საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერებას, რომელიც ეპლიდეს
მიერ იქნა შემდგომ აყვავებული.

ევფოკის ღაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 370 წწ. გეო-
მეტრიასა და ფილოსოფიას სწავლობდა პლატონის ხელმძღვანელო-
ბით; შემდგომში იგი მოგზაურობდა ეგვიპტეში, სადაც სწავლობდა
და აგროვებდა საინტერესო ცნობებს. საბერძნეთში მოღვაწეობისას
იგი გახდა ულიცესი მათემატიკოსი და მეცნიერული მათემატიკის
ფუძემდებელი. ძვირფასი ეგვიპტური და ბერძნული ასტრონომიუ-
ლი ინფორმაციული ხასიათის კოლექციისა და სათანადო დაკვირ-
ვებების საფუძველზე ბაბილონში მან წამოაყენა სქემა, რომლის
საშუალებით შესაძლებელია ვესნათ ესა თუ ის დასაკვირვებელი
მოვლენა.

„ძლიერი შეომარი, ღამაზი და მოხდენილი მხედარი, იშვიათი
მონადირე, ხელოვნებისა და კულტურის ფაქიზი შემფასებელი“
ბაბილონის მეფე აშურბაბაბალი ძეველს აღმოსავლეთში აარსებს უმ-
დიდრეს ნინევიის ბიბლიოთეკას.

XV საუკუნეში ფლორენციის მმართველის ლორენცო დე მე-
დიჩის მიერ შეიქმნა ანტიკური ხელოვნების ნიმუშთა უნიკალური
კოლექცია. სწორედ ეს კოლექცია გახდა 14 წლის მიქელანჯელო
ბუონაროტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საფუძველი.

ანდერსენის კოლექცია გახდა საფუძველი ლონდონის ეროვ-
ნული გალერეისა, რომელიც შეიქმნა 1824 წელს.

ესპანეთის მეფე ჰენრის VIII ტიუდორს (1509—1547 წწ.) ჰქონ-
და მუსიკალური ინსტრუმენტების მდიდარი კოლექცია. განსაკუთ-
რებით სხვადასხვა ტიპის კლავირები (კლავისინები, კლავიკორდე-
ბი), მის მეუღლეს ანა ბოლეინს კი უსიკიდეპრეს (ცნობილი ნი-
დერლანდელი კომპოზიტორი, პოლიფონისტი XIV—XVI სს.) ნა-
წარმოების იშვიათი კოლექცია.

პრეზიდენტ თომას ჯეფერსონის წიგნების კოლექცია (დათლობით 6000 ტომი) გახდა საფუძველი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის უდიდესი ბიბლიოთეკისა.

დასავლეთ ეგროპაში ნუმიზმატიკა, როგორც მეცნიერება, მოცენდა XVIII საუკუნეში. როგორც ცნობილია, ამ მეცნიერების შესწავლის საგანს წარმოადგენს გამოსახულების, წარწერების გაშიფრა მონეტებსა და მედალებზე. ეს ყოველივე ძეირფას მასალას იძლევა ფილოსოფიის, ხელოვნების ისტორიის, ყოფა-ცხოვრებისა და ეპიგრაფიკის სფეროში. ანტიკური ნუმიზმატიკის მამამთავრად თვლება ეკელი თავისი უდიდესი შრომით „მეცნიერება ძველ მონეტებზე“. იგი პირველი შეუდგა მყაცრი მეცნიერული პრინციპულობით მონეტების განსაზღვრას, კლასიფიცირებას და დათარიღებას. აღსანიშნავია, რომ იტალიაში XIV—XV საუკუნეებში დაიწყეს ანტიკური მონეტების შეგროვება. ძვირფასი რომაული მონეტების კოლექცია გააჩნდა გამოჩენილ პოეტ პეტრარკას. თითქმის ყველა მშართველს ეგროპაში პერნდა სპეციალური კაბინეტი, სადაც მონეტების კოლექციის ინახვდა. რუსეთში XVIII საუკუნის დასწყისში პეტრე I-ის მიერ დაარსებულ იქნა მუზეუმი კუნსტება, სადაც სხვა ექსპონატებთან ერთად შეგროვილ იქნა მონეტების კოლექცია. პეტრე I დიდ ყურადღებას აქცევდა ნუმიზმატიკურ კოლექციას. შემდგომში აღნიშნული ნუმიზმატიკის კოლექცია გადაეცა ერმიტაჟს. ამჟამად ერმიტაჟის ნუმიზმატიკური კოლექცია ერთ-ერთი უდიდესი კოლექციაა ევროპაში. ღუბლივატის გარეშე ერმიტაჟის კოლექცია მოიცავს დაახლოებით 300 000 მონეტას.

პეტრე I კოლექცია

პეტრე I შემუშავა ეგრეთ წიგნებული სამოქალაქო შრიფტი, მხატველმა და მხატვარმა კულუმბახმა პეტრე I ესკიზების მიხედვთ შეასრულა ახალი ასოებით ორიგინალური სურათები. ცნობილია, რომ პეტრე I თვითონ განსაზღვრავდა გამოცემათა თემატიკას, ასრულებდა რედაქტორის მოვალეობას, იწვევდა უცხოელ სპეციალისტებს, არ რჩებოდა არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც დაკავშირებული იყო წიგნების ბეჭდვისა და გამოცემის საკითხთან რუსეთში. ლაშქრობებში ყოფნისას კი მოითხოვდა გაეგზავნათ მისთვის ახალი რუსული წიგნების ნიმუშები, რომელთაც უკეთებდა შენიშვნებს და აძლევდა სათანადო მითითებებს გამომცემლობებს.

პეტრე I მიმოწერა ჰქონდა ნიუტონთან, ლაიბნიცთან, ვაკს-
თან და სხვებთან. იგი შესანიშნავად იცნობდა საზღვარგარიტის ლი-
ტერატურას. პირადად ურჩევდა ლიტერატურას მთარგმნელები,
ამოწმებდა თარგმნის ხარისხს. ხშირად მისი მითითებით უცარებდ-
ნენ ილუსტრაციებს და დამატებით განმარტებით ტექსტებს.

პირად ბიბლიოთეკას პეტრე I ქმნიდა მთელი ცხოვრების მან-
ძილზე. მისი ბიბლიოთეკა შედგებოდა 1620 წიგნისა და 1350 რუკი-
საგან, ნახაზებისა და სხვადასხვა ილუსტრაციებისაგან. წიგნში ძი-
რითადად სჭარბობდა ბუნებათმცოდნეობისა და სამხედრო ხასია-
თის ლიტერატურა. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა სამ-
ხედრო ლიტერატურას, როგორიცაა ზღვაოსნობა, გემთმშენებლო-
ბა, სამხედრო მეცნიერება და ტექნიკა. ზღვაოსნობის საკითხებზე მის
კოლექციაში ინახება «Генеральныи сигналы, падзираемые во
флоте», «Устав морской», «Книга учащая морского плавания»
და სხვ.

ტექნიკური ლიტერატურიდან პეტრე I გემთმშენებლობის შემ-
დევ კველაზე მეტად იტაცებდა წიგნები არხების მშენებლობაზე,
ანდების აგებულებაზე. სხვადასხვა სახის წყლის საქაჩ მექანიზმებ-
ზე, განსაკუთრებით შადრევნებზე და სხვა სახალხო მეურნეობის
საკითხებზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით მის ბიბლიოთეკაში
შემონახულია შრომები: ბურ — „Трактат о способах делать ре-
ки судоходными“ (Париж, 1693; Амстердам, 1696); რუსული
თარგმანი, გამოცემული 1708 წელს. ტექნიკის სფეროში მის ბიბ-
ლიოთეკაშია წიგნები საბაზოების საქმის, საინჟინრო და სხვა და-
ნიშნულებისა.

ბიბლიოთეკაში დიდი ადგილი უკავია ფიზიკა-მათემატიკის
სფეროს. აღსანიშნავია ნიუტონის „ნატურალისტური ფილოსოფი-
იის მათემატიკური დასაწყისი“ (ამსტერდამი, 1914).

150-მდე უნიკალური წიგნი ინახება მის ბიბლიოთეკაში. რომ-
ლებიც ეხება გეოგრაფიას, კერძოდ, კოსმოგრაფიასა და გეოდეზიას.
დაახლოებით 15-მდე წიგნია შემონახული ბიოლოგიის, განსაკუთ-
რებით მედიცინის დარგში.

საგანგებოდ აგროვებდა იგი ლიტერატურას პარკების, ბაღე-
ბისა და არქიტექტურის საკითხებზე (109 წიგნი).

წიგნებს პეტრე I იძენდა, ასევე საჩუქრების სახითაც იღებდა
საზღვარგარეთიდან. დიდი თანხის გადახდა მოუხდა მას პარიზში

სამეფო ბიბლიოთეკის დათვალიერებისას, სადაც შეიძინა ვერსალის
სამეფო პარკებისა და შენებლობის გრავირებული გამოცემანი, რეტრო ტექნიკის
რეთვე ლულოვიკო XIX ლაშქრობანი და სხვ. 1717 წელს მარტინ და
ლეს მერმა და მთავარმა მოსამართლემ პეტრე I მიართა იულიუს
ცენტრის დიდებული გამოცემანი. რუს სწავლულთაგან წიგნები სა-
ჩუქრად მისთვის მიურთმევათ დ. გოლიცინს, გ. გოლოვკინს, ვ. პო-
ლოვიარპოვს და სხვებს.

მთელ რიგ ნაშრომებს უკავშირდებოდა და უშუალოდ გამოცემლობიდან ღე-
ბულობდა. მაგალითად, გამომცემლობას მისთვის გაუგზავნია სმოტ-
რიცის „გრამატიკა“ (1648 წ.); პოლიკარპოვის ლექსიკონი 3 ენაზე
(1702) და სხვ.

პირველი სახელმწიფო ბიბლიოთეკა რუსეთში დაარსდა 1714
წელს, რომელსაც პეტრე I გადასცა ნაწილი თავისი ბიბლიოთეკისა.
ეს ბიბლიოთეკა ამჟამად მეცნიერებათა აკადემიის კუთვნილებაა.

კაპიტალური შრომებიდან პეტრე I ბიბლიოთეკაში შემო-
ნახულია ლათინურ და ბერძნულ ენებზე ბიზანტიის ისტორია 36
ტომად. წიგნები: ერამა როტერდამსкий «Разговоры дружеские»,
«Ифика-иерополитика», «Феатроп, или Позор нравоучитель-
ный». კრებულის ნიმუშები, თუ როგორ უნდა დაიშეროს წერილე-
ბი, საქმიანი ფურცლები: «Приклады, Како пишутся компле-
менты разные», «Формуляры, как пишут челобитные конкмо-
зии и грамотки в Голландии», «Форма немецкая, как писать
грамотки» და სხვ.

მხატვრული ლიტერატურიდან აღსანიშნავია ეზოპეს „იგავები“,
სხვადასხვა კომედიები, თხზულებანი: «Повесть об Антоне, цеса-
ре римском», «История о Варлааме и Иоасафе».

პეტრე I გულმოღინებით აგროვებდა წიგნებს ცხენოსნობაზე.
იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ხელნაწერების შესწავლას. დაახლო-
ებით 250 ხელონაწერია დაცული მის არქივში....

თე ცაინთირასობა...

- გაზეთები იუწყებიან,
- რომ
- ქართული კულტურის მოამაგებ ინგლისელმა მეცნიერმა
დ. ლანგმა გამოაქვეყნა ბრიტანეთის მუზეუმში ერთ ცალად დაცუ-

ლი დავით ალმაშენებლის ცნობილი სპილენძის მონეტა. კოლექტურნერმა დ. კაპანაძემ ეს № 54 მონეტა მასზე ამოკვეთილი მართული წარწერით — „დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, განჩოსა, აჭართა და სომეხთა“ — ცნობილი გახადა. თუ არა კოლექტურნერის განსაკუთრებული გულმოღვინება, ალბათ, ეს ძვირფასი მონეტა არ გვექნებოდა.

ვინმე გალურიდა კრუგი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) აგროვებს შესანიშნავი ლვინის ჭიქების (XVII—XVIII სს.) კოლექციას.

ქ. კრაკოვში დოქტორმა სტანისლავ პრონიამ დაარსა ორიგანალური ფარმაცევტული მუზეუმი, საღაც შემონახულია ფარმაცევტული რეცეპტურა, ყველა ქვეყნისა და დროის გამოჩენილ აფთიაქირთა მოღვაწეობისა და ცხოვრების ამსახველი ცნობებითურთ. სხვადასხვა დაავადებისათვის (ჭლექი, ეპილეფსია და სხვ.) უძველესი უნიკალური რეცეპტები, აგრეთვე ისტორიული ცნობები, თუ როგორი იყო ძველი აფთიაქები XIII საუკუნიდან დღემდე. ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ ძველი აფთიაქები ძლიერ ჩამოვალდა ალქიმიკოსების ლაბორატორიებს და შედგებოდა სხვადასხვაგვარი წნეხების, სკამების, რეტორტების, ტიგელების, ვერცხლის ქვაბების, საცრებისა და სხვა ნივთებისაგან.

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ბეჭდური ლია ბარათების კოლექცია ეკუთვნის სამხერთ მორავიის დაბა ბუჩოვიცეს მცხოვრებ ა. კოცენდას. ყოფილმა მასწავლებელმა, მექანიკ პენსიონერმა, ორმოცხვილის მანძილზე შეაგროვა მილიონ ხუთას ოცი ათასი შავ-თეთრი და ფერადი ლია ბარათი. თემების მიხედვით დაწყობილი ლიაბარათებიანი კოლოფები საერთო ანგარიშით შვიდ ტონაზე მეტს იწონის. უნიკალური კოლექციის ყველაზე იშვიათი ექსპონატები არა-ერთხელ უჩვენებიათ ტელევიზიით, წარუდგენიათ გამოფენებზე. მეცნიერნი კი ა. კოცენდას კოლექციას მიმართავენ ხოლმე, როცა უნდათ აღადგინონ რომელიმე შენობისა თუ ქუჩის უწინდელი სახე; კოლექციის საფუძველს შეადგენს ამ ბოლო ასი წლის მანძილზე ჩეხის ქალაქებისა და სოფლების ხედები.

ქალაქ კელნში გაიხსნა ელექტრონათურების მუზეუმი, რომელშიც არის როგორც თანამედროვე, ისე ძველი ტიპის ელექტრონათურები. 3500 ნათურიდან, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხიდანაა წარმოდგენილი, არის ყველაზე უმცირესი ნათურაც, რომე-

ლიც ასანთის ლეროს თავზე მცირეა. ეს ნათურები გამოიყენება
ელექტრონული ხელსაწყოებისათვის. აქვეა გიგანტი ნათურებიც —
ნახევარ მეტაზე მეტი დიამეტრით, რომლებსაც შუქურებიანი კონკრეტული
რენებენ, აგრეთვე კინოსტულიებშიც.

ჰოლივუდში გაიხსნა სანახაობითი მუზეუმი, დღეისათვის მას-
ში გამოიეროთ ნივთების ლირებულება 2 მილიონ დოლარს შეად-
გებს. მუზეუმი გაიხსნა ჰოლივუდის ყველაზე დიდ მაღაზიაში. მუ-
ზეუმში მნახეველს შეუძლია იხილოს მსოფლიოში ცნობილი კინო-
ვარსკვლავების ნაქონი ტანსაცმელი, ძეირფასი ნივთები, ავეგი.

იუგოსლავიაში, განთქმულ სახლვაო კურორტ მაკარსკაში, არ-
სებობს უნიკალური ნივთების მუზეუმი. აქ ექსპონირებულია 10
ათასი ცალი ნივარა, რომლებიც შეგროვილია მთელ მსოფლიოში.
უდიდესი ნივარა 120 კილოგრამს იწონის.

ღრეზდენის ტექნიკის მუზეუმმა შეიძინა ხელით საბეჭდი მან-
ქანა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე უძველესია. იგი თითქმის
მთლიანად ჩისკანა დამზადებული დურგალ პეტერ შიტენბოფერის
მიერ 1864 წელს. მისი მუშაობის პრინციპი ბევრად ჰგავს თანამე-
დროვე საბეჭდ მანქანებს. ღრეზდენის მუზეუმის ექსპოზიციაშია
172 საბეჭდი მანქანა, რომლებიც სხვადასხვა ფირმების მიერ გამო-
შვებულია 1867—1960 წლებში.

პოლონელი მებაღის სტანისლავ იარნისკის კოლექცია დააწ-
ლოებით 2000 სხვადასხვა სახის კუტურის მოიცავს.

მის მიერ გამოყენილ იქნა 500-მდე კატუსის ჯიში.
ქ. ზორნენბურგში (გდრ) თოჯინების მუზეუმში დაახლოებით
700 000 ექსპონატია. ამ მუზეუმში შემონახულია მსოფლიოში უძვე-
ლესი სუფთა ოქროსაგან გაკეთებული თოჯინა, რომელიც 4000 წლის
წინათ დამზადებული იყო ეგვიპტეში.

ქ. ორადში (რუმინეთი) არსებობს კვერცხების მუზეუმი. მუზე-
უმში 750 ჩიტის 10 000-ზე მეტი კვერცხია. კვერცხები შეგროვილ
იქნა დაახლოებით 78 ქვეყანაში. ყველაზე პატარა წიწყანას კვერცხი
13 მმ სიგრძისაა. ხოლო ყველაზე დიდი სირაქლემას კვერცხი 152 მმ
სიგრძის.

მოსკოველი ი. პეტრიშინი აგროვებს ძველ გრამოფონებს. მის
კოლექციაში გრამაფონის ფირფიტები დაახლოებით 12 000-ია. შე-
მონახულია ფირფიტები როგორც პატარა ზომის — ლილისუტები,
ასევე დიდი ზომის — გულივერები. მას აქვს ფირფიტები ერთგვერ-

2. თ. სიხარულიდე

ჩ. მბრძანებელი სახ. 1858-

სსრ სახმალმშენეო

რეპარატურის სამსახური

თბილისი

დანი ჩანაწერებით. მათ შორისაა მომღერლების, მუსიკისების, ხელმწიფო მოღვაწეების უნივალური ჩანაწერები.

ფლორენციის გამომცემლობა „ბერპორადო“ ინახება ტრიუმფურის პინქიოს, იგივე ბურატინოს შესახებ. კოლექციაში ისახება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბურატინოს შესახებ გამოცემული წიგნები; პირველ გამოცემას თარიღი 1883 წელი (ფლორენცია), რომელიც 3000 ეგზემპლარს მოიცავდა. ეს საშუალო ზომის ფორმატიანი წიგნი მდიდრულად არის ილუსტრირებული. წიგნი პინქიო-ბურატინოზე იმდენად მოეწონა მკითხველს, რომ მოითხოვეს ნაწარმოების შემდგომი გაგრძელება. ამას მოჰყევა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბურატინოზე აურაცხელი ნაწარმოების შექმნა.

დასავლეთ გერმანიაში უამრავ მნახველს იზიდავს კელნის მუზეუმი, რომელშიც ოდეკოლონის ნიმუშებია თავმოყრილი. 250 წლის წინათ კულტურული პირველი ოდეკოლონი დაამზადა ვინმე მარია ფარინგაში. მისმა ახალმა, სურნელოვანმა ნელსაცხებელმა მთელს მსოფლიოში გაითქვა სახელი. ოდეკოლონის დამზადების ტექნიკური წლების მანძილზე საიდუმლოდ ინახებოდა. მუზეუმში გამოფენილია ვეებერთელა კასრები, რომლებშიც ოდეკოლონის დასამზადებელ სითხეს აყენებდნენ. მნახველთა ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფლაკონები, იარლიყები, გამოფენებზე მიღებული მედლები.

პარიზში არსებობს მუზეუმი — „ისინი ყველაფერს ავროვებენ“. მუზეუმში თავმოყრილია კერძო პირთა მიერ შეგროვებული კოლექციები. აქ ნახავთ რესტორნების მენიუებს. მეტროპოლიტენის ბილეთებს, თუთიყუშების ფიტულებს, ქოქოსის კაკლებს, სხვადასხვა ქვეყანაში გამოშვებულ აირწინალებს...

მუზეუმის ერთ-ერთ კუთხეში გამოფენილია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩამოტანილი ქვიშის ნიმუშები.

სან-ფრანცისკოში არსებობს მთელს მსოფლიოში ყველაზე განვითარებული მუზეუმი. მუზეუმის კარადებში თავმოყრილია ათასგვარი გასართობი სიმღერებისა და ანექდოტების ჩანაწერები, მახვილა-გონივრული კარიკატურები, ფოტოსურათები, თავშესაქცევი სათამაშოები, ღიმილის მომგვრელი უამრავი ნივთი...

მეტად საინტერესოა ბუდაპეშტის ფილატელისტების მუზეუმი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ამ მუზეუმში

დაცულია 9 მილიონი მარკა — დახლოებით 90 პროცენტი ფილტელური პროდუქციისა, რომელიც 1840 წლიდან დღემდე გამოსულია. ასანიშნავია, რომ ლათინურ ამერიკულ განკოფილების უცულია უნიკალური მარკა „ნიკარაგუა“, რომელმაც, როგორც ბობენ, გადაწყვეტა ბედი, თუ სად აეშენებინათ არხი წყნარ ოკეანესა და ატლანტის ოკეანეს შორის. თურმე პირველად არხი უნდა გაეყვანათ ნიკარაგუაში. მხარეთა მოლაპარაკების დროს პანამის წარმომადგენელმა დამსტრეთ აჩვენა მარკა „ნიკარაგუა“, რომელზეც გამოსახულია მბოლავი ვულკანი. დამპროექტებლებს შეეშინდათ მოჭმედი ვულკანისა და გადაწყდა, არხი გაეყვანათ პანამაში. ეს მეტად საინტერესო ისტორიული ფაქტია. ალნიშნულ მუზეუმში 40 000-ზე ყალბი მარკა შემოიძახული და ორიგინალისაგან მათი გარჩევა მხოლოდ ულტრაისფერი სხივებითა შესაძლებელი.

საბჭოთა კავშირის შეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ინსტუტში აკადემიკოსი ნიკოლოზ ვავილოვი ითვლება კულტურულ ჩუქარეთა მსოფლიო კოლექციის დაახლოებით 300 000 ნიმუშის შემკრებად.

საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტუტში დაცულია 300 ათასზე მეტი ქართული ენდემები, მცენარეთა უმდიდრესი კოლექცია, რომელიც ზუსტად ბოტანიკური კლასიფიკაციის მიხედვითა შედგენილია. ამ კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ენდემებს — მცენარეებს, რომლებიც ჩვენს ჩესპებლივაში ხარობს. მაგალითად, წითელი წყაროს რაიონის ტყეებში შემორჩენილია იშვიათი რელატიური ხეები — თელადუმა და სახოკიას მსხალი. აჭარის ტყეებში — მედვედევის თეთრტანიანი არყის ხე. ცისფერი ქარცხევის მთელი ოჯახი შეაღენს საქართველოს ენდემური ბალახების კოლექციის. აფხაზეთის მთების ფერდობებზე შეხვდებით მშვენიერი ქარცხევის დიდრონ ყვავილებს. აგვისტოში ყვავის „ძაფუს ქარცხვი“. ენდემები დაცულია ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმში.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში შეკრებილია ძვირფასი წიგნები ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე უძველესი დროიდან დღემდე საცავის ფოლიანტებს შორისაა იშვიათი გამოცემები ბოკაჩის „დეკამერონი“ და დანტეს „დეთაბრივი კომედია“, მონოგრაფიები ლომბარდიელი, ნეაპოლელი, ესპანელი და გენუელი მხატვრების შესახებ, გამოცემული 1761

წელს ლაიფციგში, სახარება XI საუკუნის ბიზანტიური მა-
ნიატურებით და მრავალი სხვა იშვიათი წიგნი. ბიბლიოთი-
კის ფონდებში ინახება მ. ბროსეს „საქართველოს სტრიქონი-
ანტიკურობილან XIX საუკუნემდე“, გამოცემული 1833 წელს და
ტერბურგში, XIX საუკუნის ქართველი ისტორიულის დავით ბაქრა-
ძის ნამუშევრები, ლეჩხუმისა და სვანეთში ოქეოლოგიური ექსპედი-
ციის მასალები. გამოცემული 1838 წელს პარიზში, ბიბლია ქართულ
ენაზე, დაბჭედილი თბილისში 1884 წელს და სხვა გამოცემები.

ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას განეკუთვნება აქ შენახული
ეურნალები — „არსი“ და „ფენიქსი“, რომლებიც ჩვენი საუკუნის
დამდეგს გამოდიოდა თბილისში.

მიკროორგანიზმების შტამების კოლექცია, რომელიც გვრჩანი-
ს ფედერაციული რესპუბლიკის ბაქტერიოლოგიისა და ციტოლო-
გიის ინსტიტუტში ასებობს, გამოიყენება ხორცისა და სხვა კვება-
თი პროცესების შესასწავლად. მთელი რიგი შტამები გამოყოფი-
ლია ხორცისა და ხორცის პროცესებისაგან. რაც შეეხება შტამ
Vibrio-ს, იგი გამოყოფილ იქნა ზღვის თევზებილან და ზღვის წყლი-
დან. ყველა შტამი სუფთა კულტურის სახით ლიოფილიზებულ მდგო-
მარეობაშია. კოლექცია დაახლოებით 2000 ბაქტერიის, საფუვრე-
ბისა და ობის შტამს მოიცავს. ბაქტერიები — 26 ოჯახის 1073 სახეს,
საფუვრები — 8 ოჯახის 31 სახეს, ხოლო ობი 2 ოჯახის 36 სახეს
წარმოადგენს. დახასიათებულია თითოეული ნიმუშის თერმომედე-
გობა და კვების ორეალი.

„მაგარაჩის“ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და თაიროვის
სახელობის კვების მრეწველობის ინსტიტუტში შეგროვებულია ღვი-
ნის საფუვრის სუფთა კულტურის ღიდა კოლექცია. მის შედეგენი-
ლობაშია ინსტიტუტში გამოყვანილი და სელექციონირებული კულ-
ტურები. ინსტიტუტის „მაგარაჩის“ კოლექციაში დაახლოებით 600
სახეობაა, ხოლო თაიროვის სახ. ინსტიტუტში — 100 კულტურა. ორი-
ვე ინსტიტუტი აღნიშნული კულტურებით ემსახურება სამრეწველო
ორგანიზაციებს.

ინსტიტუტ „მაგარაჩიში“ არის აგრეთვე შესანიშნავი მდიდარი
ამპელოგრაფიული კოლექცია (დაახლოებით 1000 ღასახელების),
სადაც ინახება პიბრიდული ფორმები, ორგანიზებულია ჭიშთგამოც-
დისა და ჭიშთგამრავლების ექსპერიმენტული ქარხანა. აგრობიო-
ლოგიური გამოცდა და ტექნოლოგიური შესწავლა აქ გაიარა. ასეუ-

ლობით ჭიშმა, ომელთა შორის ყველაზე საუკეთესონი გავრცელება ბულ იქნა საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მეცნიერების ჩაიონაში. არსებული კოლექციის საშუალებით სელექციონერების, მაგრა გამოყვანილ იქნა ყურძნის საუკეთესო ახალი ტექნიკური ჯიშები, ომლებიც შესაძლებელია დაინერგოს შამპანურის წარმოების, კონიაკის გასაღების, სუფრის თეთრი და წითელი, სადესერტო, შემაგრებული, ნახევრად ტებილი ღვინოებისა და ყურძნის წვენის წარმოებაში.

ამპელოგრაფიული კოლექციები შექმნილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ცნობილია საფრანგეთის (ეროს დეპარტამენტი, დიუონი), იტალიის (პიემონტი), ესპანეთის (მადრიდი), პორტუგალიის (ლისაბონი), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (ჰაიდენჰაიმი), ლუქსემბურგის (მაპტალი), სიცილიის, კალიფორნიის უნივალური ამპელოგრაფიული ფონდები.

2100-მდე უნივალური ვაზის ჭიშია საქართველოს სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ამპელოგრაფიულ ლაბორატორიაში, სადაც განზრახულია საფუძველი ჩაეყაროს ამპელოგრაფიულ ბაზაზე არსებულ სხვადასხვა ყურძნის ჭიშებიდან დამზადებული ღვინოების კოლექციის ფონდს.

კოლექციის ღვინოების პატარა ფონდი არსებობს მოლდავეთის მებაღეობის. მეცნიერებისა და მეღვინეობის სამეცნიერო ინსტიტუტში. აქ ღვინოების შეგროვებას შეუდგნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდა ინსტიტუტ „მაგარაჩის“ კაშინივის ფილალი. კოლექციაში ძირითადად შენახულია მოლდავეთის კოდროვის ზონის ღვინოები.

მოლდავეთში კოლექცია არსებობს აგრეთვე კრიკოვის ღვინის საცავში. იგი შეიქმნა 1967 წელს და ეწოდება მოლდავეთის კვების მრეწველობის სამინისტროს მეღვინეობის მთავარი სამმართველოს რესპუბლიკური კოლექცია. ამჟამად აქ შენახულია 465 ღასახელების ჰამამულო და საზღვარგარეთის წარმოების ღვინოები, კონიაკები, ლიქონრები.

ღვინოების კარგი კოლექციებია ყირიმის ოლქის „ახალი შუქისა“ და „მასანდრის“ ღვინის ქარხნებში, ერევნის ღვინის კომბინატში.

500 000 ბოთლის მოცულობის ენოთეკა შეიქმნა მოსკოვის სარესპუბლიკათშორისო ღვინის ქარხანაში.



პატიოზი არსებობს ლეინოების მიწისქვეშა მუზეუმი, რომელ-
საც „ეიფელის კოშის სარდაფებს“ უწოდებენ, 1.ქ. რენადიუსის მუზეუ-
მის სიგრძის გალერეა აგებულია XV საუკუნეში, ლვიზებული და უძველეს
ამშვენებს სანთლისაგან დამზადებული ფიგურები იმ ადამიანებისა,
რომელებმაც ფრანგულ ლვინოებს შორს გაუთქვეს სახელი. ესენი
არიან ფრანგი მეცენატები და მეღვინეები — მეცნიერები და უბ-
რალო გლეხები. მუზეუმში შეკრებილია ლვინის წარმოებისათვის
საჭირო სხვადასხვა საგანი: ძველებური საწნახლები, ვეება კასრე-
ბი, ლვინის სიმაგრის გასაზომი მოწყობილობები, უძველესი ცურ-
პელი, კერძოდ, XVIII საუკუნეში შატოს შუშის ქარხნის მიერ დამ-
ზადებული ბოთლები და სხვ. ექვედებით ბორდოსა და შამპანუ-
რის ბოთლებს, რომლებიც შემორჩენილია ლუი XVIII და ნაპოლე-
ონის დროიდან.

1500 წლის წინათ საქართველოში ანაკოფის ციხე-სიმაგრეში,
ახლანდელ შავი ზღვის სანაპირო კურორტ ახალ ათონში, აგებუ-
ლი იყო ზღვის დონიდან 345 მეტრ სიმაღლეშე კლდეში გამოკვე-
თილი სასმელი წყლის შესანახი უჩვეულო ცისტერნა. მეცნიერებმა
გამოიკვლიყს იგი, მისი ფსკერი მოფენილი იყო სხვადასხვა საგნე-
ბით, რომელთა შორის იპოვეს ოთხი თავდანუფული ლვინით სახსე-
ჭურჭელი. მან კლდეში დაცული დაბალი ტემპერატურის გამო
დღემდე მოაღწია.

საფრანგეთში ფირმა „პატრიარქე, მამა და შვილი“ არსებობს
XVII საუკუნიდან. ლვინოების საცავში დაცულია ფირმის ფუძემდე-
ბლის ჟან-ბატისტ-პატრიარქის დროიდან მოყოლებული დახახლოე-
ბით 200 წლის ყოველწლიური მოსავლის ლვინოები. ლვინის ნიმუ-
შები დაფარულა მსუბუქი ფენის მტვრით. აღნიშნული ლვინის ნი-
მუშები დროთა განმავლობაში ფირმის დიდებას და სახელს მსოფ-
ლიოს ყველა კუთხეში ავრცელებენ.

1963 წლის 29 ივნისს ფირმა დაკილდოვდა დაპლომით „საფ-
რანგეთის პრესტიული“. ამ თარიღთან დაკავშირებით პატრიარქეს ლვი-
ნის სარდაფში ჩაწყობილ იქნა 1959 წლის მოსავლის 2134 ბოთლი
მაღალხარისხოვანი ლვინო კოტე დე ნუის („ლამის მხარე“) და კოტე
დე ბონის („სილამაზის მხარე“) კუთხიდან. ლვინოები გაიხსნება
2000 წლის ნოემბრის მესამე კვირას.

ქალაქ პლევნის მეცენატება-მეღვინეობის სასწავლებლის მარ-
ნის სტელაზებში ინახება 1893 წლის 200 ბოთლი ლვინო. ეს ყველა-

ზე ძველი ღვინოა ბულგარეთში, რომელიც 77 წლის წინათ დამზადებულია ვაზის ცნობილი ჯიშის „პლევნის გიმზისაგან“. პლევნის ტევზახეობა-მეღვინეობის სასწავლებელი გაიხსნა 1890 წელს, მაგრა სასწავლო-საცდელი მარანი უძველესია მთელ ბალკანურის წარევარკუნძულზე. ამ მარანში ინახება 5000-ზე მეტი ბოთლი ღვინო.

იტალიელ ჯორჯ მონტიჩელის კოლექცია 5880 ბოთლს მოიცავს ალკოჰოლიანი სასმლით. ღვინის ნიმუშების კოლექცია, მისი თქმით, ხელოვნებისადმი ტრიფიალითა გამოწვეული.

მეტად საინტერესო ფაქტის პქნდა ადგილი ლონდონში უჩვეულო ავტომობილების გამოფენაზე. 1927 წლის მოსავალი ეწოდებოდა ერთ-ერთ ექსპონატს — ავტომობილს, რომელსაც ბოთლის ფორმა პქნდა. იგი 1924 წელს იყო აწყობილი და დაახლოებით 30 წლის განმავლობაში მეღვინეობის ერთ-ერთ ინგლისურ ფირმას ეშვასურებოდა. ამჟამად ავტომობილი მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენს.

ქ. ბეზანშონის აფთიაქში ინახება 1672 წლის მოსავლის ღვინო, რომელიც კარგა ხანს ითვლებოდა ყველაზე ძველ ღვინოდ მსოფლიოში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ლონდონელი ვაჭარი ფლობს 1540 წლის მოსავლის შტეინვეინის ტიპის ღვინის ერთ ბოთლს. ღვინო სასმელად თურმე უვარგისას, მხოლოდ მისი ეტიკეტია ხელუხლებელი და პირდაპირ მიუთითებს მის წარმოშობაზე. ღვინის ნიმუში ბავარიის მეფის ღვინის კოლექციიდანაა.

ქ. რიუდსგემში მცხოვრებმა ვინე ჰანს შმერლინგმა ახალი სასტუმრო აგო ღვინის კასრებიდან. სასტუმროში ყველა ნომერი „ლუქსი“ გაკეთებულია ღვინის ძველი კასრებით. აღსანიშნავია, რომ თურმე შმერლინგერს ასეთი ტიპის სასტუმრო აუშენებია ორა ღვინის ღმერთის ბახუძის პატივსაცემად, არამედ ფილოსოფოს დიონეზის სადიდებლად. რომ არავის შეეპაროს ეჭვი, სასტუმროს შესავლელში გამოკრულია ასეთი განცხადება: „მხოლოდ იმ პირთათვის, ვინც თაყვანს სცემს ფილოსოფიას, მაგარი სასმელების მიღება აკრძალულია“.

ხშირად ვხვდებით კოლექციონერთა უნიკალურ ნიმუშებს აუქციონებზე. პარიზში აუქციონზე გაიყიდა ცნობილი ბიბლიოფილის რაფაელ ესმერიანის ძვირფასი ბიბლიოთეკის ნაწილი. შესანიშნავად გრავირებული და აკვარელით ილუსტრირებული 107 წიგნი, რომელიც გამოცემული იყო XVIII საუკუნეში. აუქციონმა მიღიონ-

შით თანხა შეადგინა. ლაფონტენის იგავების ორტომეტრული, ომეტ-ლიც 275 ილუსტრაციით ორიგინალურად იყო შემკული (მხატვარი - უ. ბ. ულრი), 2 მილიონ ფრანგად (დაახლოებით 500 000 რალარი) შეისყიდა ამერიკელმა კერძო სამხატვრო ფონდმა. სპეციალურია აზრით, ეს გახლავთ რეკორდული თანხა, რომელიც გადახდილ იქნა ძვირფასი წიგნების შეძენის მსურველთა მიერ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძველებურ ანტიკვარულ ნი-მუშებ გაცალებით მეტს იხდიან, ვიდრე ლირს. ერთ-ერთ აუქციონზე ძველებური ინგლისური ერთპენიანი მონეტა, რომელიც დაახლოე-ბით 1000 წლის წინათ იყო მოჭრილი, იყიდებოდა... 900 000-ჯერ მეტ ფასად.

ნიუ-იორქში ამას წინათ 500 000 დოლარად გაუჩიდეს გუტენ-ბერგის მიერ გამოცემული ბიბლია, ლონდონის აუქციონზე კი 6 მილიონ 160 დოლარად გაიყიდა XVII საუკუნის ესაკელი მხატვრის ფრეგო ველასკესის ერთ-ერთი ნახატი.

კოლექციონერ კომპტის საკუთრებიდან ერთ-ერთ აუქციონზე დიკენსის წიგნი მთელი რიგი აღნიშვნებით გაიყიდა 3600 ცუნტ სტერლინგად.

ერთ-ერთმა კოლექციონერმა ვენაში იმპერატორ ნაპოლეონის წერილში, რომელიც 1796 წლის აჭალიის სამხედრო ოპერაციის ურთის მისი მეუღლის უოზეფინასადმი იყო გაგზავნილი, 100 000 შა-ლინგი გადაიხადა. წერილი ასე მთავრდებოდა: „ათასი კოცნა მიიღე ჩემგან... ჩამოლი, ჩამოდი, მალე“...

პირველი გარეა და ფილატელია გელვინეობის მოტივები

«Коллекционирование... Это вечный источник подлинного знания для юноши... для каждого... Благотворно!».

Гёте

ჯეიმს ჩალმერსი?
როუნალდ პილი?

პირველი საფოსტო მარკა „Черный пенни“ შეიქმნა 6 მაისს 1870 წელს ინგლისში.

ნამდვილადაა თუ არა ოლიარებული სამეფო ფოსტის ზედამხედველი როუნალდ პილი მსოფლიოში პირველი საფოსტო მარკის ავტორია?

ცოტა რამ საფოსტო მარკის შექმნის ისტორიიდან....

ინგლისში, სამხრეთ კენიგსტონის მუზეუმში შემონახულია მარკის შექმნის პროექტი და მისი პირველი საცდელი ნიმუშები. მოცულობით ისინი ღამესახულია დედოფლალ ვიქტორიას სილუეტი. წარწერა შემდეგი სახისაა: «Главный почтамт — не более полуцентнера — один пенни» და «Не более унции — два пенса». ერთ-ერთ მარკაზე საცდელი შტამპია მოთავსებული „Дунди 10 ფевр. 1838“, პროექტის ავტორია ჯეიმს ჩალმერსი.

ჯეიმს ჩალმერსი გაზეთ „Дунди кроника“-ის გამომცემელი გახლდათ. რამდენადაც იმ დროს საფოსტო გზავნილების საკითხი

ანაზლაურების თვალსაზრისით მთელ რიგ უხერხულობას იწვევდა (ძირითადად გზავნილების გაგზავნის ანაზლაურება მანქილზე იყო დამოკიდებული), როგორც გამომცემლობის პატრონი წარუდგინა უნდა დაფიქრებულიყო ამ საკითხის მნიშვნელობაზე. მან 1837 წელს ყურადღება მიაქცია საფოსტო ანაზლაურების საკითხს და იმავე წლის აგვისტოში თავისი გამომცემლობის სტამბაში ქალალის ფურცელზე დაბეჭდა საცდელი მარკის ნიმუშები, რომელთა უკანა მხარე წებოთი იყო დამუშავებული. საცდელი ნიმუშები წარუდგინა გავლენიან პირებს და განუმარტა აღნიშნული საკითხის დიდი მნიშვნელობა.

1837 წლის ნოემბერში ჩალმერსმა თავისი იდეა საფოსტო რეფორმის განხილვის თაობაზე წარუდგინა ინგლისის მთავრობის მიერ დანიშნულ კომისიის თავმჯდომარეს რობერტ უოლესს. 1838 წელს ჩალმერსმა პროექტი წარადგინა ლონდონის ვაჭრობის კომიტეტში. ამავე დროს იგი მუშაობას განაგრძობდა საფოსტო გზავნილების უფრო რაციონალურად გამოშვების საკითხზე. ავტორმა დეტალურად განხილა თავისი იდეის მნიშვნელობა და წარადგინა დამუშავებული მარკის ნიმუშები. 1838 წლის აგვისტოში მიმართა საზოგადოებას აქტიური მონაწილეობა მიეღო საფოსტო გზავნილების შეისახების ახალი სისტემის პროექტის განხილვაში. ჩალმერსმა ხელმეორედ წარადგინა თავისი პროექტი, რომელიც 1839 წლის 26 ლეკებრის ბრძანებით იქნა მიღებული მთავრობის მიერ. ჩარჩების დაშავდება დაწვალათ გრავირებს — ვინმე ბეკონცის და პეტერის.

მაშ, რატომ მიენიჭა მარკის გამოგონების პრიორიტეტი ფონტის ზედამხედველს როულანდ ჰილის?

მას მცედლენა პორტუგალიის, ბელგიისა და მრავალი სხვა ქვეყნის მარკები. შეიძლება თუ არა შეცდომად ჩაითვალოს, რომ უოსტ-შეისტერი ჰილი, რომელიც 1839 წელს დაინიშნა პალეტაში. საღაც გაიცა სანქცია „штемпельных оболочек, штемпельных конвертов и марок для наклеивания“ დასამზადებლად, შესაძლებლობა პქონდა გასცნობოდა და გამოეყენებინა ყველა პროექტი და წინადადება, მათ შორის, რა ოქმა უნდა, ჭეიმს ჩელმერსის წარდგენილ მოსაზრებათა პროექტიც, ცხადია, კი.

დედოფალ ვიქტორიას გამოსახულება მარკაზე შეიძლება და იქვეწა და ძირითადად დამზადდა ვილიამ ვისნას მედლის ნიმუშის მიხედვით

დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ჯეიმს ჩალმერსში, პირველმა წემოაყენა წინადაღება მარკის დამზადება-დაწესების თაობაზე 1889 წელს მისმა შეილმა პატრიკ ჩალმერსმა გამოსცა ბრიტანული სადაც აჩტიკიცებდა, რომ მისი მამა ჯეიმს ჩალმერსი არის მარკის ნამდვილი გამომგონებელი. იმ დროს, როდესაც ჩალმერსი აშუშავებდა თავის იდეას (1837 წ.), ჰილი საერთოდ არ ფაქტობდა ამ საკითხეზე. „პრიტანეთის ენციკლოპედიაც“ ადასტურებს ჯეიმს ჩალმერსის პრიორიტეტს. თუმცა ყველაზე დამახასიათებელია ლონდონის სამხრეთ კენიგსტონის მუზეუმში - 1837 წ. დაცული საფოსტო მარკის პროექტი.

როგორც ჰილი თუ ჯეიმს ჩალმერსი?

სამწუხაოდ, აღიარებულია როგორც ჰილი, ხოლო მსოფლიოში პირველი მარკის შექმნის აეტორი ჩრდილში მდგომი ჯეიმს ჩალმერსია.

როდესაც კოლექციონერებზე ესაუბრობთ, რატომღაც პირველ რიგში ფილატელიით გატაცებული გვაგონდება. აღმართ, იმატომ, რომ მარკები ისე შექმნიჭრა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. თითქოს არც გვახსოვს, თუ შეიძლებოდა ან იყო დრო, როდესაც მარკებას გარეშე ხდებოდა კავშირგაბმულობათა ურთიერობანი. ასესანიშნავია, რომ მარკები დღეს არა მარტო კავშირგაბმულობის ძრითად პრინციპებს ემსახურება, არამედ გაფორმების, თემატიკის, შინაარსის, გადაწყვეტის, ხარისხის თვალსაზრისით ისინი თავისებურ ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ. დღეისათვეს მარკები მთელი რიგი საკითხების დაზუსტებაში ეხმარება მეცნიერებს, ისტორიკოსებს, მხატვრებს, გეოგრაფებს, სხვადასხვა სპეციალისტებს, ეთნოგრაფებს და მათ, ვისაც ფილატელია გაუხდია თავის საყვარელ გატაცებად.

ჩვენს ქვეყანაში ფილატელია ყოველთვის უთმობს აღვილს მევნენახეობისა და მელვინეობის თემას. ხშირად მარკებზე გამოსახული თემატიკა სიმბოლურად იცხება ყურძნის მტევნებითა და მელვინეობისათვეს დამახასიათებელი ნიუანსებით.

1971 წელს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური ოლქების 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოსულ სპეციალურ საიუბილეო მარკებზე (ფასი 4 კაპ.), წინა პლანზე გამოსახულია ვაზის ფოთლებით შემცული ყურძნის მტევნი. ყურძნის მტევნის გამოსახულება ამშვენებს აგრეთვე 1975 წელს ყარაყალბაკეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღრიცხვას.

